

პირველი იმისი ბავშვთა დაცვის დღე!


სიყვარული

12

ქართული
ბავშვთა

გამოსვლის, 55-ე წელი. (№ 1526) - იმისი 1978, წლის 20 კვირი.

სიყვარული!!!



ცხოვრება მზე
ბავშვებს ბაბაეა ღიმილში,
მიწის ბურთი
მათ აყვებზე ტრიალებს,
არა მართო
ეს პირველი ივნისი,
ყოველი დღე
ბავშვთა დაცვის დღე არის!
ბავშვს შეეხარით
ჩვენა სალოცავ ნათელ ხატს,
ღმერთს ვავედრებთ
მის ბედსა და იღბალს!
აუღ პირველად
ბავშვი გაჩნდა ამ ქვეყნად

(დასასრული მე-2 გვ.)

და სიცოცხლე
გააჩინა იმ ბავშვმა!
ყველა წამი,
ყველა წუთი, საათი
ფიქრი არის,
ზრუნვა არის ბავშვთათვის.
დედამიწას მზე
იმართ და ნათის
და იმათი
ლოყებივით კაშკაშებს.

ამიტომაც,
სიკვდილსა და ომს — არა!
ატომის და
ნეიტრონის ბომბს — არა!
იზეიმოს
სიცოცხლემ და მშვიდობამ!
აღარ მოხდეს,
რაც წარსულში მომხდარა!

ზაურ გოლჭვაძე



— თუ თქვენი გაში არ ქორწინდება, ნუ ინაცვლებთ! იმ ბაღბაილებით, შვილწმინდებითა და მათად!

ითი თუ არა თქვენ, რომ...

...თანამედროვე ბავშვი დაუწერელი დაფა კი არა, ტელევიზორის მთავარი გერანია.
...ყური შეიძლება ნიჭსაც აეწიოს.
...ყოველი 100 ბავშვიდან 99-მა იცის ფორტეპიანოზე დაკვრა (ან რომელიმე უცხო ენა) და პირიქით, იმავე 100 ბავშვიდან 99-ს წარმოდგენა არა აქვს რა არის ბავშვობა.
...ღვინით დათრობა სჯობია, წყალ-წყალა ფრიალებით დათრობას.
...საკაცობრიო აღმოჩენები, ჩვეულებრივ, ბავშვის ნამდვილი მოწოდების აღმოჩენიდან იწყება ხოლმე.
...თითები მშობლებს მართო იმიტომ როდი აქვთ, რომ მუშტებად შეჭრან.
...2x2-ს იმდენი არასწორი ამოხსნა აქვს, რომ ყველა მათგანს „ნიაზის“ ოთხი ნომერიც ვერ დაიტევს.

ზაზა კაციაშვილი

ყოჩად, ზამკათაბლაზო!

პოლიკლინიკის დერეფანში ტარანებივითაა ჩაწყობილი დიდი, თუ პატარა. ზოგი ატირებულ ბავშვს აწყნარებს — გაჩერდი, თორემ ბუა მოვა და წაგიყვანსო, ზოგი კიდევ რეგისტრატურის წინ იტყლიტება საწინახელში ჩაყრილი ყურძენივით და ბავშვის ანკეტის ასაღებად „სამბოს“ იღებებზე გადადის. რეგისტრატურაში ხომ ძალიან პატრონს ვერა ცნობს, შუბლზე ოფლგადამსკდარი თეთრ-ხალათიანები სიმწრით ეძებენ ვიწრო თაროებში ძალიან შეტენილ ანკეტებს.

კაბინეტებში ექიმები და ექიმის თანამშრომლები კრუსის ფრთებქვეშ შემძვრალი წიწილებივით შეეუყუღლან...

ეს ამბავი ზღაპარი არ გეგონოთ — ასეა ყოველდღე რუსთავის ბავშვთა № 2 პოლიკლინიკის მეორე შენობაში, რომლის ნახევრის შეკეთება ოთხი თვეა დაიწყო კომუნალური მეურნეობის სამინისტროს რუსთავის სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ და, ალბათ, მალე არც დამთავრდება.

ზამთრობით, ნორჩთა ჯანმრთელობის დაცვის დარაჯნი დარაჯებივით დგანან ფეხზე პალტოებსა და ქურქებში გახვეულნი. ხოლო ზაფხულობით სული ეხუთებათ სიციხით.

ფანჯრებიდან თავისუფლად დათარეშობს თავხედი ქარი და ურადიკულიტოდ არ ტოვებს არც მედიცინის მუშაკებს, არც ნორჩ პაციენტებსა და მათ მშობლებს.

სტატისტიკოსების კაბინეტში თავმოყრილი სტატისტიკოსი, მეტეორეულე, მდივანი და მთელი ტექნიკური პერსონალი, მათივე სტატისტიკური ცნობით ხელს უფრო უშლიან ერთმანეთს მუშაობაში, ვიდრე ესმარებიან.

არც პოლიკლინიკის გარემონტებულ, პირველ შენობაშია სახარბიელო მდგომარეობა. შემკეთებელთა მიერ სამი წლის მანძილზე

ნაწვალბ-ნახლადფორთბ-ნაჯახირებ შენობაში, ავადმყოფი კი არა, ჯანმრთელიც რომ შევიდეს, ცუდად გახდება. ასაცრელ კაბინეტში აირწინალით უნდა შეხვიდე, რომ სული არ შეგეხუთოს, რადგან გასაცოდავებელი, მკერდალუჯილი იატაკის ქვეშ შიმშილისაგან თავზნებლადებული ვირთხები ყოველგვარ სიბინძურეს ეზიდებიან, შემდეგ კი ულუკმაპუროდ სამუდამოდ ეთხოვებიან წუთისოფელს. დაზაფრულ ექიმებსა და მედლებს კაბინეტებში იმხელა ხაფანგები და სათაგურები უდგათ, მგონი დათვს დაიჭერს.

ზოგან პარკეტი აყრილია, ალაგ-ალაგ კი აქლემის კუზივითაა ამობურცული (რის გამოც ერთხელ თურმე თვალუქუქუნა მკურნალმა ქალმა ლამაზი ცხვირი გაიტეხა.).

ზოგ კაბინეტში კედლებმა ვერ აიტანეს შემკეთებელთა მიერ მიყენებული მურაცხყოფა და ჯერ სირცხვილისაგან ფერი ეცვალათ, ხოლო შემდეგ ბრაზისაგან გული გაეზარათ და დასკდნენ.

ერთ-ერთი პედიატრიული ოთახი ბიოლოგიის კაბინეტად იქცა — ნესტიანი კედლების ძირში სოკოებმა ამოჰყეს თავი...

— ყოჩად, რუსთაველო შემკეთებლებო! ხედავთ, რამდენი საინტერესო რამ ხდება თქვენს მიერ აწ „გარემონტებულ“ და გასარემონტებულ პოლიკლინიკის შენობაში? ბოროტი უნები იმასაც ამბობენ, თითქოს თქვენს მიერ სხვა ობიექტებზე ჩატარებული სამუშაოებიც არ ბრწყინავენ მაღალი ხარისხით, მაგრამ ენას ძვალი არა აქვს და ყველაფერს იტყვის, ამიტომ, მოდი, საერთოდ ნუ ავყვებით ბოროტ ენებს!

კეთილი სურვილებით — ნორჩ პაციენტთა ჯანმრთელი მამა, რუსთავის № 2 ბავშვთა პოლიკლინიკის ხშირი სტუმარი

კანო ცინცაძე

მე პაწია გამოცდა ვარ,
სულ გაჟერები, ვატყობ, წელსვე,
მორჩა, აღარ ჩამაბარებ,
გაიხარე, ბიჭო, აესე!


მეყო, რაც რომ შენი ტვინი
ზუთხვა-ზუთხვით ამოვლესე,
გამაძევეს, მაგრამ იცი,
ერთხელაც არ დავიკვნიესე.

მეც ვიწვოდი შენი ცოდვით,
აღმა-დაღმა ვწრიალებდი,
ბილეთს ხელში გარჩეხდი,
შენთან ერთად ვღრიალებდი.

გამოცდებით დაფშენტილი
თვალწარბლოყამონამული,
შინ მისვლამდე გისკდებოდა,
ფართხალებდა შენი გული.

ჰა, გაფრინდი, ეს ზაფხული
შენია და შენვე მწყემსე,
ჯანთან ერთად ეგ გონება
უფრო გაიუკეთესე.

გეფიცები, ძველ ბილეთებს
ნაკუწებად ვაქტვე დღესვე,
რას უდგახარ, დახევაში
მომეხმარე, ბიჭო სესე!



— ქალო, გავშვთა დაცვის დღეს მაინც მოხდება შენს შვილს!

დაკვირვებული მოსწავლე

ზ. კ.



დაწყებითი სკოლის გეოგრაფიის მა-
სწავლებელს ახალ მასალად უნდა აეხსნა—
„დედამიწა და მისი ფორმა“. გლობუსის
უქონლობის გამო, უფრო მეტი თვალსაჩი-
ნობისათვის მან კლასში მიიტანა ფეხბურ-
თის ახალთახალი გაბერილი ბურთი და
მოსწავლეებს მიმართა: — ბავშვებო დედა-
მიწას აქვს გაბერილი ბურთის ფორმა გა-
დიდებული მასშტაბით. რომ შეიძლებოდეს
დედამიწის ზომამდე ბურთის გაბერვა, იგი
დაემსგავსებოდა და, პირიქით, დედამიწა
რომ დაგვეპატარავებინა ბურთისზომამდე,

დედამიწაც მთლიანად დაემსგავსებოდა
ბურთს. მაშ, როგორი ფორმის ყოფილა დე-
დამიწა? — მიმართა მან ერთ-ერთ მოს-
წავლეს.

— ნესვის ფორმის! — მკვირცხლად მი-
უგო მოსწავლემ.

მასწავლებელს მრავალმნიშვნელოვნად,
მაგრამ ოდნავ სევდიანად გაეღიმა. მან მო-
სწავლეს შეუქო დაკვირვებულობა, მახ-
ვილი თვალი და მძიმედ დაეშვა სკამზე.

ბურთი თბილისის გამოშვებული იყო.
ჯამლახ ტახაზვილი.

კოსმოლოგის მადლი

როცა საბავშვო ბაღის ოთახები
მხიარული ბავშვებით გაივსო, პატარე-
ბმა იწყეს გუშინდელი ფათერაკების
თხრობა:

— წუხელ ხიზილალა შევქამე და მა-
მამ „ინსპექტორები“ მიყიდა!

— აი, მამა! — და ყველა მის ფეხსა-
ცმელებს დააცქერდა.

— ეგ რა არის, მე გუშინ თაფლში
აზელილი კარაქი ვქამე და ბაბუამ
„სეიკო“ მაჩუქა!

— აბა?! — აყვირდნენ ბავშვები და
იაპონურ საათს დაუწყეს მოსმენა.

— უფრო უკეთეს გეტყვი: წუხელ
ტელევიზორში „დამი ი გასპადას“ არ
ვუყურე და დედიკომ „უუვაჩები“ მო-
მცა!

— რა მასტი დედიკო გყოლია! —
შეუქეს დედის საქციელი და უამრავი
„უუვაჩები“ აატყუნეს.

— ფრთხილად, მასწავლებელმა არ
მოგვისწროს. „უუვაჩებს“ ჩამოგვართ-
მევს და სხვა აღმზრდელებს უბოძებს!

— მოიცათ, მოიცათ! ეგ ის მასწავ-
ლებელია, თმების გაკრეჭით რომ გვე-
მუქრებოდა?!

— გახლავს! — დაუდასტურეს ბავ-
შვებმა.

— ჰოდა, მაგ მასწავლებელს მამაჩემ-
მა საქმე ჩაუწყუო, საპარიკმახეროს გამ-
გედ გადაიყვანა!

— ვაშა! დანარჩენებისათვის ჭკუის
სასწავლებელი იქნება!

ანაზად ოთახში ბავშვის ტრილი
გაისმა.

— რა გატარებს? — ერთხმად ჰკით-
ხეს ბავშვებმა.

— გუშინ, მშობლები სახლში რომ
არ იყვნენ, ნახევარი ქათამი, ერთი ქილა
მურაბა და ათი ვაშლი შემომეჭამა. მა-
მაჩემმა მცემა და გამფლანგველი და
მუქთახორა მიწოდა! — უპასუხა მტი-
რალმა ბავშვმა.

იმ დღესვე, ბავშვების დაქინებული
თხოვნით, მოიყვანეს „ცილისმწამებე-
ლი“ მამა, ჩაუტარეს პროფილაქტიკუ-

რი მუშაობა, დააწერინეს ახსნა-გან-
მარტებითი ბარათი, რომ სხვა დროს
აღარ შეებლავს სპეტაკი. დაუწერელი
დაფის, ანუ შვილის ავტორიტეტს. ბავ-
შეთა კრებამ ბაღის დირექტორს დაა-
ვალა, გააძლიეროს აღმზრდელობითი
მუშაობა მშობელთა შორის, დროდად-
რო აამაღლოს დედის და მამის კვალი-
ფიკაცია. რადგან არაკვალიფიციურობა
უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფო-
რმირებაზე. აგრეთვე დადგინდა, რომ
იმ ბავშვების მშობლები, რომლებიც
ეწინააღმდეგებიან თანამედროვე მოწო-
დებს „ჩაცმა-დახურვა და სმა-ჭამა
დიდად შესარგი“, გადაყვანილი იქნენ
სმაჭამაშესარგ სამსახურში!

ახლა აქსელერაციის პროცესი არ
დასრულებულა. საბავშვო ბაღები
კვლევითი დაწესებულების ღონეზეა
ასული!

ვაშა, ბავშვებო!

ა. ლუ.

საქართველო
საბჭოთა კავშირი



— რატომ არ ყიდულობ მანქანას?
— ცოტაც მაცალეთ და ხალხი ხელით მატარებს!

დამადგენ ცოლი, ცოლისდა, სიდერ-სიმამრი, ქვისლიცა;
— გითხარით, არ დაიჯერე, ტლინებს ტუფილად ისვრითა.
დღეს ვინ ინახავს ცოლ-შვილსა ლექსებითა და მოთხრობით...
ჩვენც გვინდა საქმეს ეწიო, არა ჭურღობით, ოხრობით,
ერთ თბილ ადგილზე მოგაწყობთ, გამგე იქნები ნამდვილი,
ვიციო, პოეტი კაცისთვის საქმეა არცთუ ადვილი.
თან კაბინეტიც გექნება, წერე რამდენიც გვინდა...
გეტყვიო, ვისა სცე პატივი, ან ვინ არიან ჩვენები!..
გექნება, ისე გექნება, ოჯახსაც კარგად ეყოფა...
შენ გინდა, შექმნა ამ ერთმა პოეტმრჩენელის ეპოქა?!
ბევრი შვილები რომ გინდა, ჩაცმა-დახურვა არ უნდათ?
ქაპა, სმა, ბინა, გართობა, სწავლა... ეს ახლა დამუნჯდა...
რომ მიყულო, ბიძია, ერთი, მეორე, მესამე...
ჯერ პატარები არიან, მოიცა, წამოგეზარდნენ...
ძალს მე ვარ და ძალს ისინი, ვის დაეჭადის მიღწევებს...
ვინც ასე ერთად იქნება, ისინი საქმეს წინ სწევენ...
რა ვქნა, დავადლო კალამი, რაიც მიჯერებს ამ წუთში
და დაუჯერო მზრუნველებს და „ჩავიკეტო ნაჭუჭში“?
სალამოს ჯიბესავსემ და თავაწეულმა ვიარო?!
ცოლს, ცოლისდასა, ქვისლს და სხვებს — ეუთხრა და გაეუზიარო...
ცად ავიყვანო უფროსი (რომ იყოს თუნდაც დებილი),
ვაბრალო გენიოსობა (თუნდ იყოს ჩვეულებრივი?).
ხან ნათესავებს ვემღერი, ხან თვეს, ხან ფულის სიმცირეს.
როგორ მოვიქცე, მითხარით, ხალხი არა ხართ? მირჩიეთ..

შოთა ხოლაშვილი



გამოგობიძღვებით ფრიად გავიხარე ჩვენი
ტფილისის კიდევ ერთხელ ხილვითა, რამეთუ კე-
თილად ვინიშნე უთვალავი სიახლენი: ხელკეთი-
ლად ნაგებნი სახლნი საჯალაბონი და სამუშაკონი,
სასტუმრონი და სამორინენი, მარანნი, საქაშნიკო-
ნი, სხვანი და სხვანი, ზოგი რამ კიდევ ჩვენად ვერ
ვცან. აი, თუნდაც ეს წარწერა, სურათზე რომ გახ-
ლავთ წარმოჩენილი, განა რას უნდა ნიშნავდეს?
„სატრეტო“ — ვკითხულობ აფრული თაღის
ქვეშა, მკვიდრად ნაგებსა შენობაზედ და ვხვდები,
რომ იგი წარმოშობილია სიტყვებისაგან — ტ რ ე-
ტ ა, გა ტ რ ე ტ ვ ა, გა ლ ე ლ ე ტ ე ბ ა. ჩანს, რომ
ეს არის სახლი, სადაც შედიან ფხიშლები და იქი-
დამ გამოდიან გატრეტოლები, ლელეტი
მთვრალეები. მივივრს და გამკვირვებია, რაში დას-
ჭირდა ჩვენს ქართველობას ამგვარი სახლის აგე-
ბა, თანაც ამ სატრეტს აწერია, ნომერი პირვე-
ლიო. გამოდის, კიდევ რამდენიმე ასეთი სახლი
ჰქონია ქალაქსა. თანაც ეს ღვინისა ყოფილა, რად-
გან ქვემოთ „ღვინისაო“ წერია. ჩანს, არყით სატ-
რეტო სახლებიც არსებულა.
რეჟიმის ქალაქიო რომ მითხრეს ტფილისზე, არ,
დავიჯერე. ახლად ვხვდები, რომა „სველი“ რეჟი-
მის ქალაქად გადაგიკეთებიათ. აფერუმ თქვენს
ვაუკაცობასა!

უარაჩოხელი



უსიტყვოდ

პატარავი ვართ, თამაში გვიყვარს, მაგრამ დიდებს ხმაურით ვაწუხებთ. უხმოდ თამაშს კი ვერ ვახერხებთ. შეენიანეთ ჩვენს უფროსებს, მოგვიწყონ ეზო, თანაც ცოტა დააჩქარონ თორემ, სიბერეში ისედაც ხელში ჯიხს დავიჭერთ და ბორჯომპარკში წყნარად ვისეირნებთ.

ბორჯომი, პაპანინელების ქ. № 4.

ვცნობრობთ ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მეორე კვარტალის ოცდამეხუთე კორპუსში. სამი წლის წინ დაიწყეს ჩვენი სახლის სადარბაზოების გადაკეთება. დაიწყეს და აღარ დაამთავრეს! სადარბაზო ნაყარი მიწითაა დაფარული, შესვლის მაგიერ, შიგ უნდა შეძქრე. ჩვენთვის ეს ადვილი საქმეა, გვიხარია კიდევ თამაში გვგონია, მაგრამ ჩვენს მშობლებს რომ ვხედავთ ამ ყოფაში, გვეცოდებიან.

მოგვეხმარეთ, უთხარით, ვისაც საჭიროა, დააჩქარონ ჩვენი სადარბაზოების აშენება-გაწმენდა, თორემ მალე ჩვენც დიდები გავხდებით და უფროსებივით გავვიჭირდება სახლში შესვლა!

მორიდებით მოგახსენებთ ჩვენს სათხოვარს ხევსური ბავშვები. მართალია, მთაში ვცხოვრობთ. სუფთა ჰაერზე, ჯანმრთელები ვართ, მაგრამ ხანდახან მაინც ვხვდებით ავად. ავადმყოფს კი, ვიცით, რომ ექიმი უნდა. ადრე შატალში ექიმი ყოფილა, მერე ექიმი წასულა და ექთანი დარჩენილა, ახლა აღარც ექიმა და აღარც ექთანი.

ძალიან გეხვეწებით, ექთანი მაინც გამოგვიგზავნონ! პირობას ვდებთ, არც ვასინჯვის და სიცხის გაზომვის დროს ვიტირებთ და მწარე წამალსაც კანფეტით ვადავყვალავთ. მართლა, კანფეტზე გავვახსენდა და ეგეც უნდა გითხრათ: ჩვენი მალაზია ფქვილით და მარილით მაინც მოამარაგონ, სხვას აღარ დავეძებთ. ბარისახო-შატალის გზის გაწმენდაც დააჩქარონ, თორემ, აბა, ისე ან ექთანი როგორ მოვა, ან კანფეტებს როგორ ჩამოგვიტანენ?!

ესაა ჩვენი სათხოვარი. ქალაქელი ბავშვებივით სათამაშო ადგილები კი არა გვაქვს საძებნელი.

ბავშვების თხოვნა ჩაიწერა მარიკა ბეზიამ



— ეს ბავშვი არანორმალურია, რეპეტიტორის ბარზე ითვისებს ყველაფერს!

მ
ე
რ
ე
ს
ა
რ
ე

— ბავშვი ხარ და უკვე ღვინოში ცურავ?
— ამდენი რესტორნის მაგივრად საცურაო აუზები აგეშენებინათ და წყალში ვიცურავებდი!

* * *

— ოჰ, ნეტავი როდის დადგება ის დრო, როცა სამსახურს დავიწყებ! — ოხვრით ამბობს ბავშვი და ჩანთაში წიგნებს ალაგებს.

— რა მოხდა, შვილო?! — დაინტერესდა მამა, რომელიც ტელევიზორს უყურებს.

— შაბათს მაინც დავისვენებდი!


* * *

— მომბეზრდა ეს „პრიმა“! დღეს აუცილებლად უნდა გამოვასწორო ჩემი ორიანი! — შესჩივის მოსწავლე თავის ამხანაგს.

— „პრიმა“ რა შუაშია?

— დედა შემპირდა, სამიანს თუ მიიღებ, „კოლხეთს“ გიშოვიო!

ანდრო კოკოლია



დიდ ბრიტანეთში სასწავლო წლის დამთავრებისთან ერთად კვლავ წამოიჭრა ახალგაზრდობის უმუშევრობის პრობლემა. მაისის დამლევს შრომის ბირჟებზე რეგისტრირებულ ახალგაზრდების რიცხვმა ინგლისის უმუშევართა მილიონნახევრიანი არმიის 40 პროცენტი შეადგინა. ჩქარა, კიდევ 300.000 კოლეჯდამთავრებულ ქაბუქსა და ქალიშვილს მოუწევს სამუშაოს ძებნა.



ნ.ბ. ლომინა

— ეს დიკლოგი, ესეც...

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გემაჯავილი** სარედაქციო კომპლექსი: **ზ. ბოლქვაძე** (მთ. რედ. მოადგილე) **ზ. კაციანი**, **ზ. ლომია**, **ბ. ლომია**, **ნ. მაღაზონია** (მხატვ. რედ.), **ბ. ნიუნიანი**, **ბ. სიხარულიძე** (პ/მგ. მდივანი), **ბ. ფიცხალაძე**, **ო. ველიძე**, **ბ. ჭავჭავაძე** რედაქტორი **ბ. კუხალაშვილი**, ● **საბირისა** და **იუმორის შურონი** „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, საქართველოს კვ-ის გამომცემლობა, გადაეცემა ასაწყობად 23/IV-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VI-78 წ. ქაღალდის ზომა 70x108/8 ცისიურ ნაბეჭდი ფურცელი 2. საარტიკლო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შტკვ. 1504. უფ. 00760 ტირ. 146.760 თბილისი, პრ. რუსთაველი № 42. **სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი «ნიანგი»**, ● **Издательство ЦК КП Грузии**, ● **Типография Издательства ЦК КП Грузии**, თბილისი, ул. Ленина № 14. ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თქმების ავტორები: **მ. მღვიმეიძე**, **ბ. დეილაძე**, **მ. ცოტაძე**, **ვ. კუციანი**, **ნ. მაღაზონია**, **ვ. სიხარულიძე**.

333
78

